KA011895465620719

05 / ნოემბერი / 2019 წ.

№ 221292

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ ნინო ინწკირველს

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ ქ. დედოფლისწყაროში, შირაქის ქუშაზე (საკ.კ.52.08.35.337) დაგეგმილია საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა.

აღნიშნულ რეგიონში ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტი კომპანია არის ს.ს. „ენერგოპრო ჯორჯია“. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების 261 მუხლის მე 2-ე პუნქტის (მიერთების მსურველი ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე გადაიხადოს განაცხადში ასახული გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის 50%), ამავე დადგენილების დანართი 4-ის და პროექტით მოთხოვნილი სიმძლავრის (ძაბვის საფეხური 0.380 კვ. სიმძლავრე 50 კვტ.) გათვალისწინებით, წინასწარი გადახდის საფასური შეადგენს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარს. აღნიშნული საფასურის გადახდის შემდეგ ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ში მოხდება განაცხადის წარდგენა. განაცხადის რეგისტრაციიდან არაუმეტეს 60 სამუშაო დღის ვადაში სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ვალდებულია შეასრულოს მოთხოვნილი მომსახურება, რაც ითვალისწინებს განმცხადებლის კუთვნილ ტერიტორიამდე ძალოვანი კაბელის მოწყობის, მრიცხველის მონტაჟისა და ელექტროგამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოებს.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურებს აღნიშნული საფასურის გადარიცხვა ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საბანკო ანგარიშზე.

დანართი: ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საბანკო რეკვიზიტები.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

შესყიდვების სამსახურის მთავარი
სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი

ანა ომანაძე